

რედაქცია

გალაგების პრინციპები... ბელის-გოჭარა... მარტოვანი... 14 მან. 8 მან. 5 მან. 3 მან. 7 მან. 4 მან. 2 მან.

ფრთხილ

გამოდის ყოველ-დღე ორ შაბათს გარდა

შპსი განცხადებისა

დაიბადება 1 კვან, ნუგეზების... შპსი განცხადებისა... მარტოვანი...

ნაფიცო ვეკილი
ვალერიან მიხეილისძე

გარბოვსკი - ზარანეკი

სცხოვრებს გალავნის ზროსვეტსე, დობრუანსკის სახლში, კიბე გალავნის ზროსვეტიდან.

მთხოვნელებს შეუძამ დღე მიიღებს: დღლით 8 საათიდან 10-მან და საღამოს 6-დან 8-მან. გამიჯნისა და ადმინისტრაციის საქმეებისათვის მიიღებს საღამომოდით. (5-1)

საზაფხულთა თვატრეა

შაბათს 3-ს ოქტომბერს ქართული დრამატული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ჰვარჰვარე

ათ აბეკი ისტორიული ტრადედია 5 მოქმედებად თხზულება თ. ბ. პრისთაიისა. მორთულობა და ჩაცმულობა ძველი ისტორიული, რომლისათვისაც ხელ-აზლად იკერები ტანისამოსი. წარმოდგენაზედ იქნება საზანდარი, დუდუკი, ბილეთები ისყიდება თეატრის კასში. დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრაფები

კვამრბურლი, 30 ექვინსთეკს. 29 ექვინსთ. ექსპერტებმა გადაწყვიტეს: ის დაწყებულდება, რომელიც შეადგენს სასმელების გასამართავად ადგილების სიას, სანამ გაჭრებს მიერემთ უფლებას ვაჭრების გამართავისა, წინა-და-წინ აიღებენ მიწის მეზარეულთაგან თანხმობას მასზედ, რომ ვაჭრების გასამართავად ისენი ადგილს არ დაუჭერენ სასყიდლის მიცემით. „მმართველობის ძაძბე“ სწყნარს: 4 ექვინსთ. კანონის ძალით დაწყება განსაკუთრებით გამოსა იმ საქმების განსახილველათ, რომლებიც ადმინისტრაციულათ გავსავსს შეეხება. კამისიის წევრებთ არაან: მინისტრას ამხანაგი ჩერევისი სენატორები კერე-ანგვი და პრეზიდენტი და შინატანი სამინისტროს წარმომადგენლები სუ-რავი და ფონტაქვე.

კვამრბურლი, 1 ოქტომბერს გასუეთებში სწყნარს: ექსპერტების სდამაში 30 სექტემბერს გაათავეს ბაასი სასოკადობის სასმელის დუქნებზე. არჩევენ ესდა ხსალ ვითხვას მასზედ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა ვაჭრად, სასმელების ვაჭრობას. სამი პრეპტი მიიღეს 25 ხმის

უმრავლესობით 4-ს წინააღმდეგ. მიერემათ ნება მაგარი სასმელების გატანისა და სასმელათ დუქნებზე გასყიდვისა. პეტრებურდში მოვიდნენ: შუგა-ლოვაი, სვობედევი, ტოტლებანი და ალბუდინსკი.

ახალი ამბები.

სოფ. ტულაში, ურიების უბანში, ხელ-ფეხ შეკრულ ყმაწვილის პოვნის თაობაზედ შეუთისის გაზეთს „შრომაში“ შემდეგ ამბავს სწერენ: „შულამებედ ყარაულებს მოცემათ ძახილი: „ვინ ხართ ქრისტიანი! მიშველეთ!“ მარაულები მიუხლოდნენ და ერთის ურის სახლთან, ორს ნაბიჯზედ მოშორებით, თქვესმეტის თუ ჩვედმეტის წლის ყმაწვილი ნახეს ხელ-ფეხ შეკრული. ეს ყმაწვილი ყოფილა პოლკ. თა პლექს. მიქელაძის მოსამსახურე. მარაულებმა ყმაწვილს ამბავი ჰკითხეს. მან უბასუხა:

— შეიდ საათზე მე ურიებში წავედა სხვა-და-სხვა ხილის გასასყიდლად; იქ ერთ ურიამ აბაზის მაგიერ თორმეტი კაპეიკი შემადლია ამ ხილში; შემოგვეწრო ერთი ყმაწვილი ური და მითხრა, ერთ აბაზს მოგცემოდა ხილი შინ წამომიღეო. მე წავედი, ნაგაჭრი შინ მიუტანე და ფული კი მაშინვე ვერ მივიღე მისვან, რადგან ნაშალი (ხურდა) არ ჰქონდა, და მანეთიანი ქალაღის ფული დასაცვლელად ვაგზაენა. სანამ ნაშალს მოიტანდნენ, ორი თუ სამი საათი გავიდა. მოვიდა შემდეგ სამი ურია, დამიკირეს, თავპირზედ შავი ტოპარა გადამაცვეს. მე გული შემიწუხდა; პირველად კი ვგრძობდი, რომ ჩემ წვალებას შეუდგნენ, მაგრამ შემდეგ გრძობა დამეკარგა. ბონებაზედ მხოლოთ მაშინ მოვედი, როცა გარეთ გამომადგეს, საღაც ღამის ყარაულებმა მნახეს შულამებედ. „თუმცა შულამე იყო, მაგრამ ეს ამბავი, რომ ურიებს ქრისტიანის დაღრჩობა უნდოდათო, ძალიან ჩქარა გავრცელდა მთელს ტულაში და

სამტრედიასაც მიაწია. ნაშვალამევის ორი საათი იყო, როცა ეს ამბავი სამტრედიის პრისტავმა გაიგო და დაუყოვნებლივ ძაქულაშს მოვიდა, დაათვალიერა ადგილი, საცა ყმაწვილი ნახეს და თვითონ ყმაწვილიც. „უპდომინდა, რომ ყმაწვილს ანაგითანი ჭრდილას ან ჭქონას და არც დაღურჯებული ყოფილა სადმე...“ ზოგი ამბობს, ეს ამბავი სულ განგებ შეთხზულიაო, რომ ამ გვარად ურიებისათვის რამე წაერთმიათ შინაურულათაო...

„ბრალდებულად ასახელებენ ერთს ლარბს და ორს ძალიან მდიდარ ურისა...“ ჩვენ გვაცნობებენ, რომ შულამის ხანულის მღვთის-მშობლის მონასტრის მღვდელ-მონაზონს ილარიონს (გვარად ჩოლოყაშვილს), ყოვლადსამღვდელო პლექსანდრე ეპისკოპოსის მინდობილობით, ფეხით დაუელია მთილისის, მინაეთის, მელაგისა და სილნალის მარხები და ამ შრომითა და ღვაწლით შეუგროვებია, ქართულ გალობის აღსადგენად, ოთხმოცი თუმანი ფული, რომელიც უკვე ჩაუბარებია ეპისკოპოსის პლექსანდრესათვის.

შეშმარიტად, საქები და მიბაძვის ღირსია მ. ილარიონი იმ მოღვაწეობისათვის, რომელიც იმათ უკისრნია ამ კეთილ საქმის წასარმატებლად...

ბუშინ წინ, 1 ოქტომბერს, ქართველმა ერმა ჩვეულებრივად იღღო სასწაულთა მცხეთობა. მორმეტმა საგანგებო პოეზდმა წაიყვანა მცხეთას 8-მ ათასი მთილისელები; სოფლები ბიბამც ბლომათ ჩამოვიდნენ, თუმცა ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები.

მაიმართა სიმღერა, თამაში, კილილო, ღონინი სულ შემეღებურთა; ჩვენებურთა... შიდილი ნამეტურ, თუმცა გამოჩენილი მოჭიდაენი არ იყენ, რენელს მგნატაშვილს გარდა. წყნეთელმა ქალაქელი გალანა, (გაღლანა) იმერულათ დასცა არის) ნიჩბისელმა — მეჯვრინეელი, რენელმა — მუხრანელი, ოსმა — ქალაქელი, გლდნელმა — ოსი და სხვ.

სამწუხარო ამ დღესასწაულში ის იყო, რომ წირვა ისეთ ენაზე იყო, რომელიც ხალხს არ ესმის. მართველი გლენისთვის სლავიანურათ სანარების წაკითხვა უკუისა არ იყოს, მგლის თავზე სანარების წაკითხვა არის და სამწუხაროთ ამ გვარის განკარ-

გულებით ხალხს რელიგიურ გრძობას ძირს უთხრიან... მართლიდამ გვეწერენ: „ამ ორი კვირის წინათ სოფ. შორდში ერთ აზნაურს წავით მივღევანოვს შულამისას კარები შეუმტვრიეს და ისე იძალეს, რომ რაც ფული ან ვერცხლეულია ჰქონდა, სულ წაიღეს. მაგრამ ის უღმერთოები ამას რომ არ დაკმაყოფილდნენ, ოთხგან ხანჯალი დაჰკრეს და სული გაანთხვინეს.“

„სამინელი უბედური სოფელი არის ეს სოფელი; რომ ერთ ღამეს ყველას ყელები დასკრან, ხმის გამცემი და პატრონი არავინ არის. უბედური მცხოვრებლებიც ერთმანეთს არ ეხმარებიან. ნეტავი მთავრობამ მინც დასდოს წესათ, რომ რიგ-რიგით იყარაულონ. მართი კვირა არ გაივლის, რომ არა მოიპარონ-რა და ან არ გაუარცვონ ვინმე. მთხი წლის წინათაც აგრე აიკოეს და მოჰკლეს ამავე სოფლის მემკვიდრე აზნაური ნიკოლოზ მეღვეანოვი.“

მორიდამ გვეწერენ: „ღილი ხანია მორი ცდილობდა, რომ აქ ჯარი დაეყენებინათ: ბოლოს ისმინა ღმერთმა ცოდვილის პირის ვედრება, შეუსრულდთ სურვილი და დაეყენეს ბინდრად მლაღიკავაზის პოლკი, რომელიც თხოულობს საქირო სახლებს. 22-ს ამ თვისას ბატ. ძალაქის თაგმა მოახდინა სხდომა ხმოსანებისა და იმ სხდომაში საღამოს რვა საათიდან ღამის თორმეტ საათამდე ელაპარაკა ხმოსანებს, რომ პოლკის თხოვნის აღსრულება არ შეგიძლიათო, რადგამ ფული არ არისო. სულ 500-600 მანეთამდინ დაჯდებოდა სახლი ახლა ისმის, რომ პოლკის კომანდირი საგინოვი ცდილობს აქედგან პოლკის გათავყვანას, და მაშინ არა თუ ცოდვილის პირის ვედრება, ძალიან მადლიანის პირითაც რომ ევედრონ, იქნება მორში პოლკს ველარ ეღირსონ.“

ამავე სხდომაში იყო დანიშნული ერთის გარდაცვალებულის ქალაქის მმართველობის წევრის მაგიერ სხვა წევრის აღჩევა ბ. ძალაქის თავს ძალიან უნდოდა, რომ ამ აღჩევაში შეხვედროდა კენჭი ერთს იმის მეგობარს და სრული იმედიცა ჰქონდა, მაგრამ აქი გასწყრა ღმერთი და სხვას ამოუვიდა მეტი თეთრი კენჭი! ახლა, ამბობენ, გამგეობის სეკრეტარს (რომელიც ხმოსანიც არის) და ერთს სხვა ხმოსანს შეაქვთ საჩივარი, ვითომც

უწყსოთ მომხდარიყოს ეს აღრჩევა.

ჭეთაისილამ შემდეგ ცნობის დაბეჭდვას გვთხოვენ:

მკითხველმა და მარჩიელმა სწორეთ გაგვიჭიფრეს საქმე. ღლე არ გავა, რომ რამდენსამე ოჯახში უკმაყოფილება არ ჩამოვარდეს მათის წყალობით.

მითი ამისთანა გამოჩენილი მკითხვეი და მარჩიელი არის აქაური კოდელი ნინო, ქალბატონი მაგდანა. ამან თავის მკითხაობა ბანქოთი უმაღლეს განვითარებამდე მიიყვანა. წინ დღეებში ერთი მოსწავლე ვაჟის დედისათვის ეთქვა შენი შვილი და ერთი იმის ამხანაგი აგრეთვე მოსწავლე ერთს ქალს ჰყვარობენო, ღლე და წუთი-სოფელი იმაზე აქვს გადალყულიო, უპატრონე რამე, თორემ სამუდამოთ წავიხდიბა შვილიო.

შდგა ელდა-ცემული ბებერი დედა და დაუწყო ლაპარაკი შვილის ბიჭო მართალია, მაგდანამ რომ მითხრა? შვილი პირჯვრის წერით უარს ყოფდა. ამხანაგს არ შეეძლო მისეულა იმათსა, რომ არ ეთქვათ ამისათვის, თუ ღმერთი-გწამს, გვითხარი, ვინ არის ის ქალიო, თორემ ხომ იცი არაფერი დაგვემალეობო. ასე საშინლად დაეჯერებინა იმ მატყუარას.

შინმე ქალი რომ საკითხავად მივა, ეტყვის: შენ ქმარს საყვარელი ჰყავსო; კაცი როცა მივა—შენს ცოლს ვიდაც კაც ჰყვარობსო. მოდი და იკვლიე, ვინ ვის ყვარობს! ბაშფოთებულ ცოლ-ქმარს, ერთი მეორეზე ეჭვიანობისაგან, სამუდამოთ ეკარგებათ ურთი-ერთშორის ნდობა, მყუდღეობითი სიყვარული, სულ იმ სახელ-განთქმულის მაგდანას მიზეზით...“

რადგანაც მრავალნი მოსურნენი არიან, შეიტყონ—თუ ვის ეკუთვნის ან ვისი შედგენილებია ის წიგნები, რომლებიც ამ უკანასკნელს ჟამს დაიბეჭდნენ საფრანგეთში, ამიტომ საჭიროდ ვრაცბთ გამოაცხადოთ, რომ, როგორც გვაცნობებენ, ეს წიგნები შეუდგენია ჩვენი გაზეთის თანამშრომელს პატრი იოვანე ბერამაძეს (პსევდონიმი „შინმე მესხი“), რომელიც ამ ჟამად იმყოფება სამცხეში სოფ. ხიზაბერის ეკლესიის მღვდლათა.

იმას ეკუთვნის აი ეს წიგნები:

- 1) ყვავილის კანა, ლექსები, რომელშიაც ზოგიერთები გაზეთ „ღროვნიდგან“ არის გადაბეჭდილი.
- 2) გზა ცხვარებისა, თხზულება პლ. ლუგორისა, ნემნცური ენიდა, 500 გვერდი.
- 3) წინამძღვარი ზევისა, გარდმოკეთებული სომხურიდგან.
- 4) საბრძნე კატეხიზი, აგრეთვე ნათარგმნი.
- 5) თან-საცანკებელი ღაცვანი, საქართველოს კათოლიკეთათვის.

6) შემოკლებული ფილოსოფია.

7) ვრცელი დიდი გეოგრაფია, რომელიც ამ ჟამად იბეჭდება.

8) წმიდა ესტატეს ცხვარება, ბალექსილია დიდი ტომით.

9) რეცეპტაჯი.

ამ დაბეჭდილებს გარდა ამავე მინმე მესხს მოუშნადებია შემდგომი წიგნები, რომლებიც მალე გამოცემიანო.

- 1) დიდი და ვრცელი, ფრანგულ-ზუღ-ნემენგულ-ქართული ლექსიკონი.
- 2) საქართველოს ისტორია, ძველის დროისაო.
- 3) საქართველოს შესანიშნავთ პირთ ამბანი, რომლებსაც, მამულისა და სარწმუნოების სიყვარულის გამო, თავიანთ ქვეყნის ბარბაროსი მტრების დევნიდან მოწამეობის გვირგვინი მიუღლიათ.

„ღროვანის“ კორექტორდგენცია

ჭუთაისის მაზრიდამ, 27 სექტემბ.

თქვენს პატრეცემულ გაზეთში არაერთხელ გამოცხადებულა საქართველოს სხვა-და-სხვა მხრის მცხოვრებლების ნაკულუღევანება. რადგან ჩვენი ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, ამ გვარობაში გვამართლებს, ნება მომეცით მეც ვსთქვა ორიოდე სიტყვა სოფელ მღვიმეთის მცხოვრებლების შესახებ.

თუმცა ეს სოფელი ქ. ჭუთაისის ძრიელ მახლობელი მეზობელია, მაგრამ აქ ისეთს უწყსობათა შეხვედრით, ზოგიერთი იქაური გავლენიანი პირების წყალობით, რომ ამ გვარები, ვგონებ, მთიურ ხალხშიაც იშვიათია.

ამ სოფლის მცხოვრებლების რიცხვი ორას კომლამდე მიაღწევს, რომლიდანაც ათი კომლი თავადნი, გვარად ნიჯარაძენი, არიან. რასაკვირველია, როგორც ყოველ წოდების ხალხში, ამთშიაც ურევიან ისრეთნი პირნი, რომლებიც პატრესცემნი არიან; მაგიერთ არიან ისრეთნიც, რომელთაც თავის საკუთარი საპირადო საქმისთვის რო შესძლებოდათ, მრთელს ქვეყანას დააქცევდნენ.

აქ რომ მობრძანდეთ და რომელიმე გლენს საიდუმლოთ ჰკითხოთ რაში მდგომარეობს თქვენი სიღარიბის მიზეზიო, ის მოგიგებს: ჩვენ ძრიელ შეწუხებული ვართ თავადებისაგანო; ნეტავი იმ სოფელს, რომელშიაც მხოლოთ გლენები ცხოვრებენ და თავადები არ ურევიანო; ამათგან თითო გლენს წელიწადში ორ-ორი თუმანი მინც გვაქვს ზარალიო.

ეს უკანასკნელი გლენის სიტყვები რომ მართალია, ამაში გვარწმუნებს აი რა: გასრული წლის დამდეგს აქაურ თავადებმა გამოაცხადეს თავის ადგილების სანახევროთ გაცემა; წინეთ კი სამესამედოდ აძლევდნენ. ნახევრის მიცემა გლენებმა ვერ შეიძლეს და თავადებს ეს ორი წელიწადია, რაც ადგილები შეუშუშავებელი დაურჩათ.

თავადებმა არჩიეს, არჩიეს და შემდეგი ჰაზრი გამოარჩიეს: ჩვენ პირუტყვები არა გვყავს, გლენებს კი ბევრი საქონელი ჰყავსო; ჩვენს ცარიელ ადგილებში თუ მათი რაიმე ენახოთ, საბალახო ერთი-ორათ გადავახდევინოთ. ამით გლენები შევაწყობოთ და ჩვენს ადგილებს სანახევროთ აიღებენო. შნდა მოვახსენოთ, რომ მღვიმეთის მემამულეებს ერთიანი საყანე იშვიათათ აქვს და საბალახე იალალი კი სრულიათაც არ მოეძევათ. შევლა ამ სოფლის მცხოვრებლებს ადგილი ნაჭერ-ნაჭერათ აქვს, ასე რომ ერთს ადგილს თუ თავადს ხუთი ქცევა აქვს, მის მახლობლათ გლენებს ათი იმოდენი აქვს და პირველ ადგილში გარდასულ გლენების პირუტყვებს თავადები იჭერენ, თუნდ ერთი კენტიც არა მოეკამოთ-რა და ერთი-ორათ საბალახეს ახდევინებენ.

მებატონეები ერთი პირისა არიან: რასაც ერთი იტყვის, გლენების შესახებ, იმის თანახმა გახდება ყველა.

მითი ამბობს: მე ამა და ამა ყაზახს გუშინ ამა და ამა ადგილში ცხენი დაუჭირე, ერთი მანეთი გარდავახდევინე და კაი დედალიც უნდა მომართვასო. მეორე წამოიოქროპირებს: ხეალ დილით ადრე ჩემს ცარიელ ადგილებში წავალ, ფულებს ერთი-ორათ გარდავახდევინებ; იქნება ამით მომავალი დღესასწაული გავითენო. მესამე ამთ შეუღიმებს: ბატონებო, თქვენმა სიცოცხლემ, ძალიან კარგად მიგვყავს ჩვენი საქმე; ჩვენ რომ ასე არ მოვიქცეთ, ყაზახები თავს წამოგვაჯდებოდნენ და, როგორც ზოგ სოფლებში თავადებს ემართებათ, ჩვენც ისე დაგვემართებოდა. მართალია. ბატონ-ყმობა გადავარდა, ყმები ჩამოგვართვეს, მაგრამ ჩვენ ჩვენის მოხერხებით ისე მიგვყავს საქმე, რომ ახლა უმჯობესი მებატონეები ვართ. ჰაზახებს ჩვენი ეშინიათ და თუ არ შეეშინდებთ, ძალათი შევაშინებთ;—ძროხებს დაუჭიროთ, ცხენებს წავართმევთ და კენებით გავხეტქოთ, ღორებს დაუხოცავთ და ზოგიერთს კიდევ შევებერტყავთ, თუ ძაბუნათ დავინახეთ. შიშით ისინი ჩვენ ყველას, ქათმებს, ზაჭაპურებს და სხვა ამგვარებს გვიგზავნიან, მეტი ბატონ-ყმობა იქნება?! ახლა კიდევ დალოცოს ღმერთმა ის საათი, როცა ხევისთავობა მოიგონეს, ესეც ხომ ჩვენს ხელშია. ძველად მოურაგებათ გვაყენებდნენ, ახლა კი ხევის-თაობას და ხევის-თაგების უფროსობას ემოულობთ. რა გვიშავს, თუ ჰკვირანთ ვიქნებით!

მა გახლავსთ ამ ბატონების მეცნიერება—და. ამასთან კიდევ არ შემძლია არ ესთქვა ერთი სიტყვა ბატ. საყულის საზოგადოების მამასახლისის შესახებ, რომლის საბრძანებელშიაც სოფ. მღვიმეთიც შედის. ბრძანება მისე განუასაზღვრელია; რასაც იტყვის, წესიერია თუ უწყსო, მინც უნდა აღსრულდეს. ამ ბ.

მამასახლისის ერთი ნაბიჯის გადადგმა ხუთი მანეთი ფული ღირს და მისგან ერთი სიტყვის წარმოთქმის ფასი ერთი მანეთი დამსხუთ მანეთამდის მიაღწევს. ამგვარი პირები ბრძანდებიან სოფელ მღვიმეთის გავლენიანი პირნი.

უცხოეთი

შვეიცარია. ნემცურ გაზ. „ტაგებლაც“ ტელეგრაფით აცნობებენ ბერნიდამ, რომ სოციალისტთა კონგრესი საიდუმლოდ შეყრილა ბრაუბიუნდენის კანტონში. შევლა მეროპის სახელმწიფოებიდამ და ამერიკიდამაც კი ყოფილან წარმომადგენლები ამ კონგრესზედ. სხდომები საზოგადოა. იმედი აქვთ იმ დრომდინ გაათავონ სხდომები, სანამ ადგილობრივი მმართველობა გამოსცემდეს განკარგულებას—აღკრძალოს ეს კონგრესი თავის კანტონში. მხოლოდ ეხლა აღმოჩნდა, რომ ადრე ხან ბერნი და ხან ციურიხი იმიტომ იყვნენ მოხსენებული კონგრესის ალაგებათ, რომ ნამდვილი დანიშნული ალაგი კონგრესისათვის დაეფარათ.

ოსმალეთი. ოსმალეთის ელჩს რუსეთში შაქირ-ფაშას ხშირათ აქვს ამ უკანასკნელ ხანებში მოლაპარაკება რუსეთის უცხო ქვეყნების საქმეთა სამინისტროს მმართველთან ბირსთან. შაქირ-ფაშას გარდაუცია ამ უკანასკნელისათვის თავისი მოსაზრება შესახებ კონტრიბუციისა, რომელიც ოსმალეთმა უნდა მისცეს რუსეთს. ბოლგარის მმართველობის შეცვლის თაობაზედ ელჩს უთქვამს, რომ ოსმალეთი კმაყოფილია ამ ცვლილებით ბოლგარიაში. სომხეთის საქმეების თაობაზედ მოლაპარაკება მიმდინარე წელში ვერავითარ დასკვნამდი ვერ მივაო, უთქვამს ფაშას. ამის მიზეზი არის აჯანყებულ შურთისტანის აქამდის დაუმშვიდებლობა და ამ უკანასკნელ დროს მგვიპტეს აჯანყებაც. სანამ ამ აჯანყებულთ სრულიად არ დავამშვიდებთ, მანამ მცირე აზიაში ვერავითარ ცვლილებას ვერ მოვახდენთ.

არა რაი არს დაზარული, რომელი არა ბამოცხადდეს.

(ამა ღვეახოს იოანე გამრეკელოვს)
ამ თვის დროების მე-193 №-ში მე წაეკითხე მამა დეკანოზის გამრეკელოვის წერილი ჩემი კორრესპონდენციის შესახებ, რომელიც იყო დაბეჭდილი „ღროვანისა“ მე-№187-ში. ის საგანი რომლის გამოისობით მამა დეკანოზმა იხება ხმის ამოღება ღირსია, რომ ორიოდე სიტყვა სთქვას კაცმა მასზე და ამისათვის, იმედი მაქვს მიიღებთ ამ ჩემს წერილს, ბ. რედაქტორო, და ადგილს მისცემთ თქვენს გაზეთ „ღროვანში“.
რომ მოხსენებული განკიცხვა, ბრძანებთ მამაო დეკანოზო, ჩემი და

ქალაქის მღვდლებსა სემინარიის და-
არსებისა წინააღმდეგი აზრის გამო-
ცხადებისათვის ცხადი ცილის წამება
არის იქილამ უნდა დაინახოს მკი-
თხველმა, რომ ბატონი კორრესპონ-
დენტი თავს არ იჩენს. მაშასადამე
მას სინილისი აწუხებს და თავს ამალ-
ვინებს, ხოლო ჩვეულება კი აწერინებს
უწესოებას.

შბა, თუ გინდათ, მშვენიერი ლო-
ლიკური აზრი ეს არის! რამდენი მწე-
რალი თავს არ იჩენს და თავის ნა-
წერს სახელსა და გვარს არ აწერს ეს
იმიტომ, რომ სემინარისი აწუხებს მას
და ჩვეულება აწერინებს უწესოებას!!
არა, მამაო დეკანოზო! ძლიერ მო-
ტყუებული ბრძანდებით ამ აზრში.
ბევრი სხვა-და-სხვა პატივსაცემი მი-
ზეზებია, ეხლანდელ დაკუპრულ და
წყვეულ ღრობში მანც, რომლის წყა-
ლობით მრავალი კორრესპონდენტე-
ბი თავის სახელს და გვარს არ აწე-
რენ. ხშირათ კორრესპონდენტები ვერ
ბედვენ თავიანთ ვინაობის გამოაშკა-
რავებას იმ ბატონების წინაშე, რომ-
მელთა მოქმედების გაკიცხვა განუ-
ზრახავთ მათ. რისი ეშინათ მათ,
მკითხავთ თქვენ უთუოდ? იმისა, რომ
ის ვაჟბატონები, რომელთაც ჰკიცხვენ
კორრესპონდენტები მოინდომებენ მათ
გასრესას და მიწასთან გასწორებას...
თქვენ მეტყვიით: „თუ მართალი არიან
კანონით მათ ვინ უზამს რამეს, ვინ
დასჯის მათ?“ და ვინ უყურებს ეხლა
კანონს? მინ მისდევს ეხლა სიმართ-
ლეს? მინ იჭერს ეხლა მართლის მხა-
რეს? მის უყვარს ეხლა მართლის
მთქმელი? არ იციოთ ეხლა რას ჩადიან
ზოგიერთები უცნობი კორრესპონდენტ-
ტების წინააღმდეგ? რას ჩადიან სახორ-
ციელო უწყებაში—ამას თავი დაე-
ნებოთ. მე მოგიხსნათ თქვენ ერთი
დეკანოზის საქციელს, რომელსაც
თქვენ ძლიერ კარგად იცნობთ. მკი-
თხველთადაც ბოდიშს ვითხოვთ ჩვენს
საგანზე გადახტომისთვის. არ რა მოხ-
და.

მრთ რუსულ გაზეთში „Церковно-
Общ. Вѣстникъ“-ში მარშან იბეჭდი-
ბოდა საქართველოდამ გაგზავნილი
წერილები: „საქართველს ვკვლესია
და მისი მოსამსახურნი“. ეს წერი-
ლები იყო ხელმოწერილი ასე: „Сель-
ский священникъ“. არც გვარი. (იხილეთ ამ გაზეთის
№ 80, 93 და სხვა 1880 წლისა.) ამ
წერილებში ავტორი სხვათა შორის
ენებოდა იმერეთის ეპარხიის საეკლე-
სიო მმართველებს, მოურავებს და
აუკებდა მათ მოქმედებას. ამბობდა
ავრეთვე იმაზე, თუ როგორი უწესოე-
ბა არის სანთლის ვაჭრობაზე და აცხა-
დებდა სურვილს, რომ სანთლის ვაჭ-
რობა რიგვიანათ წასულიყო.

რადგან ეს ჩვენი დეკანოზი ძველ
ღრობში საეკლესიო მამულების მმარ-
თველთაგანი იყო, ძლიერ ეწყინა მისი
მოქმედების გამოაშკარავება, თუმცა
იმის სახელზე და გვარზე სრულებით
არა თქმულა—რა. სანთლის ვაჭრობა-
საც თურმე ის ვანაგებდა და ამხედ
თავი გამოიღვა. მაშინა გაზეთშივე

თავის გამართლება, მაგრამ რომ და-
ფიქრდა, ეს ძლიერ საძნელო ასასრუ-
ლებელი შეიქნა. ბოლოს მიჰყო ხე-
ლი ხრიკებ და იჩინებს, რომელსაც
დიდი ხნიდამ ჩვეული იყო. შეთხზა
ყალბი თავის გამართლება სამი იმე-
რეთის გამოჩენილი თავადების სახე-
ლით და სდურთა რედაქციაში. ეს
თავადები გახლავან გარდაცვალებულ-
ნი დიდი ხნით მ. წერეთელი, მ. წუ-
ლუკიძე და ცოცხალი, მაგრამ არა
მკითხველი არც ერთი ვაზეთისა, ს.
აბაშიძე...

ეს პატივცემული დეკანოზი ჩაუ-
უძვრა პირში ამ თავადებს და მკედრე-
ბი გაზეთში ალაპარაკა და პოლემი-
კა გამართინა! თავის თავი კი ზე-
ცამდის აყვანიდა ქებით! რედაქციამ
რა იცოდა თუ ეს დეკანოზის ხრიკე-
ბი იყო. პატივი დასდვა ამ სამი თავა-
დების გვარს და დაბეჭდა თავის გა-
ზეთში. (იხილეთ Церк. Общ. Вѣст.
№ 120 188 წ.)

ეს ამბავი შეიტყო იმ სოფლის
მღვდელმა, რომელიც წერილებს
ჰგზავნიდა გაზეთში და მისცა შესაფე-
რი პასუხი ამ დეკანოზს, გამოუცხადა
რედაქტორს, რომ ის თავადები, რომ-
მელთაც გაუგზავნეს მას წერილი ამ
მღვდლის წერილების წინააღმდეგ,
მკედრები არიანო. რედაქტორი უც-
დის დღესაც ამ თავადების პასუხს,
მაგრამ მეტი შენი მტერი ნუ არი,
რაც მათ პასუხი არ მისცენ საიქიო-
დამ!.. ამხედ უმეტესად გაჯავრდა
ეს ჩვენი დეკანოზი. ბოლოს მიჰყო
ხელი ისევე დაბეზლებით ხელ მოუ-
წერელ წერილების წერას და აქეთ-
იქით გზავნას. წერილებში გამოიყუ-
ნა ავტორად იმ წერილებისა ერთი
სოფლის მღვდელი, რომელზედაც
აილო ეჭვი, ცუდის საქმის მომქმე-
დად და ითხოვდა აღმინისტრაციული
წესით გარდაესახლებინათ სხვა ეპარ-
ხიაში!

მოდო და გამოუნდი თქვენ, მამაო
დეკანოზო, ამისანა ვაჟბატონებს!
მოდო და სახელი და გვარი მოაწე-
რე ამისანა ბატონების გასაკიცხვე
კორრესპონდენტებზე!.. თუ ამის-
თანა საქმეს ჩაიდენს ორჯერ-სამჯერ
ნაკურთხი დეკანოზი, რას იზამს სა-
ხორციელო პირი გამკიცხველ კორრეს-
პონდენტების წინააღმდეგს. რომელი
კანონი დაიფარავს მათ ამ ვაჟბატო-
ნებისაგან?

აი, რა მიზეზების წყალობით,
იფარვენ ხან-დის-ხან თავს კორრეს-
პონდენტები...

რაცა შეეხება მას, რომ უსა-
ფუძვლოთ არაფერი არა გამომი-
თქვამს—რა ჩემს კორრესპონდენტიაში,
ამას ეხლა დავიმტკიცებთ.

იმაში, რომ დეპუტატებმა ორ-გზის
განაცხადეს სურვილი სოხრის წი-
ნაზე ქ. მუთისში სემინარიის დაარ-
სებისა მამა დეკანოზი და მისი საბ-
ლალოჩინოს ზოგიერთი მღვდლები
ხედვენ სიყალბეს, თავის უფლებათა
აღმატებას და მათი აღმორჩეულ
მღვდლების ჩაუგდებლობას... დეპუ-
ტატებს ირჩევენ მღვდლები. ათი

კრებული ირჩევს ერთ დეპუტატს.
ამათ უფლება ეძლევათ იქონიონ
მსჯელობა სასწავლებლის გაუმჯო-
ბესობაზე! ეძლევათ უფლება იქო-
ნიონ მსჯელობა თავის გაუმჯობე-
სობის შესახებ საქმეზედაცა და
სამღვდლოების შეილების განათ-
ლებაზედაც. დეპუტატებმა იბრევეს
კარგი ღრობა: ყრილობის ღრობს მოი-
ლაპარაკეს, ყრილობას გარეშე, და
შუშინდეს სინოდს სთხოვეს სემი-
ნარიის დაარსება ქ. მუთისში და
დახმარებაც ფულით, როგორც სა-
ეკლესიო ხაზინიდან, ვერეთვე იმ
ფულით, რომელიც სინოდის
გამგებობაში არის.

1872 წ. კი სხვა საგნებსა და
გარდაწყვეტილებათა შორის იყო
გარდაწყვეტილი მუთისში სემინა-
რიის დაარსებისათვის ფულის შეკრე-
ბა ყოველ წლივ. მა ყურნალი
დამტკიცებული იყო მისს ყოველად
უსამღვდლოების იმერეთის ეპისკო-
პოსის ბაბრიელის-მიერ და მრთელმა
ეპარხიის მღვდლებმა იციან და კი-
დეც გროვდება ყოველ წელს ფული
სემინარიის დასაარსებლად.

ეს სრულებით პირველი გაგონება
არ არის მღვდლებისათვის. მაგრამ,
საუბედუროთ, მამა დეკანოზის ბაზრე-
კელოვის საბლალოჩინოს ზოგიერთი
მღვდლებისთვის სწორეთ პირველი
გაგონება ყოფილა და თვით მამა
დეკანოზისათვისაც! მაგრამ აქ გასა-
კვირველი არა არის—რა.

ქალაქის მღვდლები, როგორც აქ
ჩვენში, ისე, საუბედუროთ, ყველგან
მარტო ბატონობას სურვობენ. სოფ-
ლის მღვდელს უყურებენ ისე, რო-
გორც აფიცერი სალდათს. იმათზედ
აქვსთ მიქცეული ყურადღება, რომ
რაც შეიძლება, ბევრი თანამდებობა
და ჯამაგირი იმოვონ. ამასთან ცდი-
ლობენ, რომ ეპარხიის სამღვდლოე-
ბა თავის თავს-მჯდომარეთ ირჩევედეს
შეკრებილებზე. სასწავლებლებზე და
მღვდლების შეილების განათლებაზე
იმდენს ზრუნვენ, რამდენს მე და
შენ, მეითხველო, ვზრუნავთ ჩინეთის
იმპერიაზე. შეიტყეს კარკად სოფლის
მღვდლებმა ქალაქის მღვდლების და
დეკანოზების ხასიათი და უკუ-იქცენ
მათგან: როგორც აქ თითქმის ისე
ყველგან სოფლის მღვდლები აღარ
ირჩევენ მათ თავის თავს-მჯდომარეთ
და არცხევი, თანამდებობაზედ. ნაც-
ვლად სარგებლობის მოტანისა ამ
პატივცემულმა მამებმა, თითონ დაუწ-
ყეს სასწავლებელს ფულის გლეჯა
სხვა-და-სხვა ხერხებით. ჩვენ ვიციოთ
ერთი დეკანოზი, რომელმაც ოთხ
სადუქნე ოთახში სასწავლებელს გა-
მართვა ქირათ სამს წელს თითქმის
ორი ათასი მანეთი, როდესაც იმის-
თანა ოთახები, და უკეთესიც, შეიძ-
ლებოდა გავეყვებინა კაცს ამ ფუ-
ლათ სასწავლებლის გვერდზედ.

ქალაქის მღვდლებმა და განსაკუთ-
რებით სობორის კრებულმა მანც
მშენიერი მაგალითი უჩვენეს სოფ-
ლის მღვდლებს. სასწავლებელი 1867
წლიდამ მღვდლებს დაწვა კისერზე

შესანახავთ. 1868 წლიდამ ყოველ
სოფლის მღვდელს დაედა გადასახადი
სასწავლებლისა, ქვეს მას შეიღო
სასწავლებელში თუ არა, მანც.
1868 წლიდამ 1874 წლამდე მუ-
თისის სობორის კრებული თავის
საკუთრებიდამ არ იხდიდა არც ერთ
კავიკს სასწავლებლის შესანახავად
და თავის შეილებს სოფლის მღვდლე-
ბის შემოტანილი ფულებით ზრდიდა
სასწავლებელში.

ამაზე მეტი უკან ჩამოჩენა იქნება.
ამხედ მეტი გულ-გრილობა სწავლის
საქმეზე იქნება? საქმეს როდი დაბ-
რკობებს, ერთი ორი მღვდელი თქვე-
ნის ანუ სხვა პირის ჩაგონებით უთან-
ხმო რომ დარჩე, სემინარიის გახსნაზე
და ისიც საბლალოჩინო კრებაზე. საქ-
მე დეპუტატების გარდაწყვეტილებაზე
არის დამოკიდებული. ამ ღრობს მუთა-
ისში შეიკრება ყველა დეპუტატები
და ყველა დეპუტატები გახდენ თა-
ნაჩმა სამი წლის ჯამაგირის დატო-
ვებაზე სემინარიის დაარსებისათვის.
ამას ან კი რა ლაპარაკი უნდა. მინ
იქნება ისეთი უგზური, სულელი და
გონებით დაბრმავებული, რომ ამ
კეთილ საქმეს არ თანაუგრძნოს?
მაგრამ საქმე რაშია, იციოთ, მამაო დეკა-
ნოზო? ზოგიერთ დეკანოზებს ძლიერ
გეწყინათ, რომ სოფლის მღვდლები,
დეპუტატები პირველათ მათთან არ
გამოცხადენ და მათი ლოცვა-კურ-
თხვის მიუღებლად საქმეს შეუდგენ
და გარდაწყვიტეს ამისთანა კეთილი
საქმე. მეორეს მრით საქმე იმა-
შია, რომ მათ შეილები აღარ
ჰყავთ გამოსახდელი სემინარიაში და
რისთვის გარდაიხადონ ფულები.
მლონდ მათ ჯიბეს ნუ მოაკლდება,
და სასწავლებელიც რომ დაიკეტოს,
მანც არ ენაღვლებათ?..

მაგრამ, სამწუხაროდ, ყოფილან,
არიან და იქნებიან მრავალი პირნი,
რომელთაც ძლიერ უყვართ ბნე-
ლეთი... მოფილან, არიან და იქნე-
ბიან მრავალი, რომელთა შეუტყო-
ბლად თუ რამე კეთილი საქმე მოხდა,
სულით და გულით ცდილობენ მის
მოშლას და დაბრკოლებას. ისინი თავის
გულის-წადილის შესასრულებლად
არაფერს არ ზოგვენ, არც დანოსებს
და არც სხვა კაცის შემარცხველ
მოქმედებას, მაგრამ, იმედი გვაქვს
ღმერთი მოგვაშორებს ამისანა პირებს
მალე.

სხვა მამა დეკანოზის იოანე ბამ-
რეკელოვის ნალაპარაკებზე არა ვსთვლი
საქიროდ ვილაპარაკოდ რამე.

№ № და არა X X.

ნარკვი

ინგლისში ჩამოუსხამთ ჭიჭის ასაკი,
როგორც გამოუგვეყვიათ, ჭიჭის ასაკი
და საზოგადოდ ჭიჭა უფრო წმინდა,
მტკიცე და მაგარი გამოდგება, მისამ
დასახჩენი ღვთოვნები, და ამიტომაც
ფსევს და სხვას უფრო უძლებს.

* *

ინგლისის მმართველობას შეუგვეთია
მოსკლე წმინტანგისათვის ერთი უზარ-

